

ალექსანდრე ტყეშელაშვილი

შემთხვევითი პარამეტრიანი არაწრფივი დიფერენციალური განტოლებების მიერ წარმოქმნილი ზომების აბსოლუტურად უწყვეტობა.

განხილულია პირველი რიგის ჩვეულებრივი არაწრფივი დიფერენციალური
განტოლება შემთხვევითი შემფოთებით

$$\frac{dV}{dT} + \xi(T) = P(T, V)$$

სადაც $\xi(T)$ გაუსის ტიპის შემთხვევითი ფუნქციაა. ნაჩვენებია, რომ ამ განტოლების
ამონახსნის მიერ წარმოქმნილი ზომა, აბსოლუტურად უწყვეტია უფრო მარტივი
დიფერენციალური განტოლების ამონახსნის მიერ წარმოქმნილი ზომის მიმართ.
გამოთვლილია რადონ-ნიკოდიმის შესაბამისი სიმკვრივე.